ავტობიოგრაფია

მე, ქრისტინე ქაჯაია, დავიბადე 1989 წლის 14 ივნისს. 2006 წელს დავამთავრე წყალტუბოს მრავალპროფილიანი ლიცეუმი. 2010 წელს დავამთავრე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი სამართლმცოდნეობის სპეციალობით, მომენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. 2021 წელს დავამთავრე აკადემიკოს სტეფან დემიანჩუკის საერთაშორისო ეკონომიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, მონიჭებული მაქვს მაგისტრის ხარისხი პროგრამის საგნობრივი სფეროს სამართალის, საგანმანათლებლო პროგრამის სამართლისა და პროფესიული კვალიფიკაცია სამოქალაქო სამართლის. 2013-2015 წლებში ვმუშაობდი აიპ წყალტუბოს სპორტ სკოლაში, იურისტის პოზიციაზე. 2015-2016 წლებში ვმუშაობდი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში ქონების მართვის სამსახურში, მთავარ სპეციალისტად. 2016-2019 წლებში ვმუშაობდი წყალტუბოს საოლქო საარჩევნო კომისიაში თავმჯდომარის მოადგილის პოზიციაზე. 2019 წლიდან დღემდე ვმუშაობ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო პროცესების მართვის განყოფილების შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირად.

ზემოთ აღნიშნული პოზიციების პარალელურად, 2016-2022 წლებში ჩატარებული ყველა არჩევნებისას ვმუშაობდი საარჩევნო სისტემების განვითარების რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ტრენერად. საქართველოში დაიწყო და განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა პროფესიული განვითარების საერთაშორისო პროგრამა (BRIDGE), რომლის ფარგლებშიც 2016 წელს მონაწილეობა მივიღე საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებისთვის ჩატარებული პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელებაში. 2016 წლიდან გამართულ ყველა არჩევნებზე ვახორციელებდი ცესკოს წარმომადგენლობას ყველა დონის საარჩევნო კომისიაში. მყავს მეუღლე და სამი შვილი.

ხელმოწერა

თარიღი 15.07.2022